თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2592159

ნომერი: AR1401573

თარიღი : 04.05.2016

გაცემის თარიღი : 01.06.2016

გაცნობის თარიღი : 01.06.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ცინცაძის ქ.#57; ცინცაძის ქ.#57;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნოდარ ბაღათურია პ/ნ 01008022487
- მცხეთის ქ.#1/ზ.27

ორგანიზაცია:
- მაგთიკომი კოდი: 204876606

ნომენკლატურა :

- მიშენებული - დაშენებული
- სხვა ფუნქციის შენობა
- ლეგალიზება
- უნებართვო მშენებლობა

...სატიტულო ინფორმაცია :

- ...ფუნქციური დანიშნულება : საკომუნიკაციო საბაზო სადგური

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, მისი ოფიციალური ვებ–გვერდის www.tas.ge მეშვეობით ელექტრონულად წარმოდგენილი #AR1401573 განცხადებით მომართა, შპს „მაგთიკომი“–ს წარმომადგენელმა ნოდარ ბაღათურიამ და ნომენკლატურის მიხედვით მოითხოვა, ქ. თბილისში, საბურთალოზე, სულხან ცინცაძის ქუჩის #57–ში, შპს „Mores

Company“-ის საკუთრებაში არსებულ #01.10.14.028.089 მიწის ნაკვეთზე განთავსებულ სხვა ფუნქციის შენობაზე, უნებართვოდ მიშენებული–დაშენებული ფართის ლეგალიზება, ხოლო მოთხოვნის ტექსტში მითითებული იქნა, რომ ითხოვს მშენებლობის ლეგალიზებას. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, გადაამოწმა სამსახურის მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაცია, შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტები და გაარკვია შემდეგი:

შპს „მაგთიკომი“–ს წარმომადგენლი ნოდარ ბაღათურია განმარტებითი ბარათის ტექსტში უთითებს, რომ „სალეგალიზაციო ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისი, ცინცაძის #57-ში მიწის ნაკვეთზე არსებულ აგურის მილზე განლაგებულია მაგთიკომის ანტენები 6 ცალ 3 მ-იან ლითონის მილებზე, რომლებიც დამონტაჟებულია ლითონის არსებულ ბაქანზე. გთხოვთ მოახდინოთ არსებული მდგომარეობის ლეგალიზება პრეზიდენტის #660 ბრძანებულების გათვალისწინებით“ – ზუსტი და სრული ციტირება, სტილი დაცულია უცვლელად.

განმარტებითი ბარათის ტექსტში და ობიექტის ამსახველი ფოტოსურათებით დადასტურებულია, რომ სალეგალიზაციოდ რეალურად წარმოდგენილია ანტენები ანუ მოწყობილობა (დანადგარი), რომლის ლეგალიზებასაც საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660–ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესი არ ითვალისწინებს და მისი ლეგალიზება ეწინააღმდეგება ზემოხსენებული ბრძანებულებით დამტკიცებული წესის პირველ მუხლში ასახულ საქართველოს ლეგალიზების წესის განმარტებას და დანიშნულებას, რომლის თანახმადაც, „ეს წესი განსაზღვრავს უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების (შემდეგში – ობიექტები ან მათი ნაწილები) ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესს,“ რაც ნიშნავს იმას, რომ ლეგალიზებას ექვემდებარებიამ მხოლოდ აშენებული და არა დამონტაჟებული ობიექტები და მათი ნაწილები.

„პროექტისშემთანხმებელი და მშენებლობისნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათინაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660–ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შესაბამისი ორგანო იღებს გადაწყვეტილებასობიექტის ან მისინაწილის ლეგალიზების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ იგი არეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს (გარდა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილებისმოთხოვნებისა). ამავე მუხლის მე-3 პუნქტისთანახმად, შესაბამისი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ობიექტის ან მისი ნაწილის ლეგალიზებაზე უარის თქმის შესახებ, თუ იგი ეწინააღმდეგებასაქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს“ (გარდა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მოთხოვნებისა). ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური, როგორც „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20–104 დადგენილების მე–2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო, ვალდებულია ზუსტად და სრულად დაიცვას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–5 მუხლის პირველ ნაწილი, რომლის თანახმადაც, „ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება“ და აქედან გამომდინარე, საკითხის განმხილველი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო, ვერ მიიღებს საქართველოს კანონმდებლობის, სახელდობრ საქართველოს კანონმდებლობაში შემავალი საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660-ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შპს „მაგთიკომი“–ს წარმომადგენლის ნოდარ ბაღათურიას მიერ მოთხოვნა დაყენებულია ისეთი ობიექტის ლეგალიზებაზე, რომლიც ვერ აკმაყოფილებს საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660–ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მოთხოვნებს, საკითხის განმხილველი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო, მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს #AR1401573 განცხადება და განახორციელოს ლეგალიზება.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

ვბრძანებ

_____ არ დაკმაყოფილდეს შპს „მაგთიკომი“–ს წარმომადგენლის ნოდარ ბაღათურიას #AR1401573 განცხადება.
_____ უარი ეთქვას შპს „მაგთიკომი“–ს წარმომადგენელს ნოდარ ბაღათურიას ქ. თბილისში, საბურთალოზე, სულხან ცინცაძის ქუჩის #57–ში, შპს „Mores Company“-ის საკუთრებაში არსებულ #01.10.14.028.089 მიწის ნაკვეთზე განთავსებულ სხვა ფუნქციის შენობაზე, უნებართვოდ დამონტაჟებული ანტენების ლეგალიზებაზე.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.